

THE INFLUENCE OF THE DISSENT AND CONCURRENT OPINIONS BY THE JUDGES OF THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA ON THE FINAL RULINGS

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.12.7>

Sophio Ormotsadze

*Ph.D. student of the Faculty of Law at Caucasus International University,
Invited Lecturer of the Faculty of Business, Law and Social Sciences at Akaki Tsereteli State University,
Georgia, Kutaisi*

Email: ormocadzesofia@gmail.com

ABSTRACT

The concept of different and concurrent thoughts is a democratic mechanism that reflects the ideas of minorities in the process of constitutional justice. It is thanks to him that it becomes possible to evaluate the disputed issue in a variety of ways and to create the possibility of a different arrangement in the future perspective, which has a significant impact on the finality and irreplaceability of the results established by the decisions of the Constitutional Court.

Based on the above, the paper discusses the pros and cons of the doctrine of dissenting and concurring opinions, scientific visions and legal regulations in order to assess, whether the judges of the Constitutional Court of Georgia have sufficient guarantees for the formation of individual opinions. The paper is focused on presenting the meaning and challenges of different and concurring thoughts that arise in practice.

Ultimately, the article outlines the impact these views can have on future definitions of constitutional provisions, legislative reforms, and public discourse. Drawing on the analysis of practice, an assessment has also been made of how the realization of this opportunity by the judges of the Constitutional Court of Georgia affects decision outcomes, the Court's functioning, and inter-judicial collaboration.

KEYWORDS: Constitutional justice, Independence of judges, Judicial precedents

შესავალი

მოცემული სტატიის აქტუალობა დაკავშირებულია კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსამართლეთა მიერ განსხვავებული და თანმხვედრი აზრის გამოხატვასთან. კერძოდ, სტატია იკვლევს განსხვავებული/თანმხვედრი მოსაზრებების როლსა და გავლენას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შედეგებზე. კვლევის მიზანია, შეაფასოს მოსამართლეთა ინდივიდუალური აზრების მნიშვნელობა და როლი სასამართლო დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, სამართლებრივი განვითარების ხელშეწყობასა და დემოკრატიის განმტკიცებაში.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში, განსხვავებული/თანმხვედრი აზრის განმაპირობებელი იდეოლოგიური თუ სამართლებრივი საფუძვლები და სასამართლოს პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც შეფასდება განსხვავებული აზრის გამოხატვის სიხშირე და ხასიათი. კვლევის ამოცანაა წარმოაჩინოს, აღნიშნული პროცესის თავისებურებები და გამოწვევები. ასევე, თუ როგორ მოქმედებს განსხვავებული აზრი სასამართლო კოლეგიალობაზე და რა გრძელვადიანი გავლენა აქვს განსხვავებულ/თანმხვედრ მოსაზრებებს.

ქართული სამართლის მეცნიერებაში, ამ ეტაპისთვის არ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა განსხვავებული/თანმხვედრი აზრის მნიშვნელობისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მისი გავლენის შეფასებაზე ორიენტირებული კვლევები. ხოლო ქართულენოვანი წყაროები, რომლებიც მიმოიხილავს ზოგადად განსხვავებული/თანმხვედრი აზრის ინსტიტუტს, ძალიან მწირია. შესაბამისად, ნაშრომის სამეცნიერო სიახლე წარმოაჩე-

ნს თუ რა გავლენას ახდენს საქართველოში, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შედეგებზე მოსამართლეთა ინდივიდუალური მოსაზრებები. ამიტომაც, თეორიულ პერსპექტივებსა და ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით, სტატია განიხილავს და აყალიბებს კვლევის შედეგებს, სადაც შეფასებულია, თუ როგორ უწყობს ხელს აღნიშნული მოსაზრებები იურისპრუდენციულ დინამიზმს, ასევე, მისი მნიშვნელობა და გავლენა გადაწყვეტილებათა შედეგებზე.

1. მოსამართლის განსხვავებული და თანმხვედრი აზრის ღირებულება

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული თუ თანმხვედრი აზრის არსებობის საკითხი, კონსტიტუციური მართლმსაჯულების თავისებური ინსტიტუტია, რომელიც წარმოაჩენს მოსამართლეთა მდგომარეობასა და დამოკიდებულებას მიღებული გადაწყვეტილების მიმართ. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ხშირია მოსამართლეთა შორის დებატები ან წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები. ყველა მოსამართლეს აქვს განსხვავებული ხედვა კონსტიტუციური დებულებების მიმართ და ახდენენ არაერთგვაროვან სამართლებრივ ინტერპრეტაციას. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ თითოეული მათგანი იურიდიულ, ფილოსოფიურ და სოციალურ ასპექტებზე დაყრდნობით, ინდივიდუალურად ახდენენ ნორმათა გააზრებას, რათა მიღწეულ იქნას სამართლებრივი, მორალური თუ საზოგადოებრივი სამართლიანობის მიზანი.¹ ამიტომაც, გადაწყვეტილებათა მიღებისას, ლოგიკურია,

1 შეადარე. Firman, F. A., 2015. Principles of Freedom of Justice in Decidene The Case as a Constitutional Mandate. Jurnal Konstitusi 12 (2), გვ. 224-225.

მოსამართლეებს შორის აზრთა სხვადასხვაობა, რის შედეგადაც ყალიბდება განსხვავებული თუ თანმხვედრი აზრი. მარტივად რომ ვთქვათ, განსხვავებული აზრი არის ერთი ან რამდენიმე მოსამართლის პოზიცია, რომელიც არსებითად განსხვავდება გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეთა უმეტესობისგან. ხოლო თანმხვედრი აზრის შემთხვევაში, ავტორი ეთანხმება უმრავლესობის დასკვნებს, მაგრამ არა იმ მიზეზებს, მსჯელობასა თუ დასაბუთებას, რომლებიც საფუძვლად უდევს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, გვთავაზობს კონსტიტუციურ დებულებათა ალტერნატიულ ინტერპრეტაციას.

სამართლის მეცნიერებაში ამ ინსტიტუტისადმი ორგვარი დამოკიდებულება არსებობს. პოზიტიური მიდგომა იმაში გამოიხატება, რომ განსხვავებული/თანმხვედრი აზრი უზრუნველყოფს კონკრეტული საქმის ყოველმხრივ განხილვას. სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის ისინი შემავსებელ ფუნქციას ასრულებენ. საზოგადოებისთვის და სამეცნიერო სფეროებისთვის ცნობილი ხდება იმ არგუმენტებისა თუ შენიშვნების შესახებ, რომლებიც გამოთქვას იმ ეტაპისათვის უმცირესობაში აღმოჩენილმა მოსამართლეებმა. ასევე, გაცხადებული სამართლებრივი დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს ყველა ის არგუმენტი, რომლებიც საკონსტიტუციო კონტროლის პროცესში ერთმანეთს დაუპირისპირდა.² ეს თავის თავში გულისხმობს, რომ უმცირესობაში აღმოჩენილ მოსამართლეთა იდეები და არგუმენტები, მომავალში შესაძლებელია,

უმრავლესობის პოზიციად იქცეს. იმავე პოზიციას იზიარებს პროფესორი თუოდორელ თოადერი, რომელიც რუმინეთის კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით აცხადებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ნებისმიერ შემთხვევაში ერთნაირი იურიდიული ძალის მატარებლები არიან და მათი იურიდიული ძალა იდენტურია, იმისდა მიუხედავად ერთხმად არის მიღებული თუ ხმათა უმრავლესობით. განსხვავებული/თანმხვედრი მოსაზრებების არსებობა სასამართლოს გაყოფად არ უნდა იქნას მიჩნეული და არც სასამართლოს ერთიანობას არ არღვევს. ამასთანავე, მოსამართლეთა განსხვავებული/თანმხვედრი აზრის მოტივაციებს იურიდიული ძალა არ გააჩნიათ, მაგრამ საზოგადოებაში, სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში მათი განხილვის შედეგად შესაძლებელია წარმოიშვას კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების გადასინჯვის საკითხი.³

განსხვავებული/თანმხვედრი აზრის კონცეფციის მომხრეთა კიდევ ერთი არგუმენტი შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერებას. განსხვავებული თუ თანმხვედრი აზრის არსებობა უდავოდ წარმოადგენს მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტს. სიტყვის თავისუფლების დაცვა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონცეფცია ის კონსტიტუციური ღირებულებებია, რომელსაც ეფუძნება განსხვავებული აზრის ინსტიტუტი. აღნიშნული უპირველესად განამტკიცებს, რომ მოსამართლეებმა შინაგანი რწმენისა და სინდისის საფუძველ-

2 შეადარე. მაჯჩიჩი, ა. მ., 2010. განსხვავებული და თანმხვედრი მოსაზრებების (დამოუკიდებელი მოსაზრებების) მნიშვნელობა საკონსტიტუციო და სასამართლო მეთვალყურეობის განვითარებისათვის სლოვენიის სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 4, გვ. 117.

3 შეადარე. თოადერი, თ., 2010. განსხვავებული და თანმხვედრი მოსაზრებების მნიშვნელობა რუმინეთის კონსტიტუციური მართლმსაჯულებისათვის. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 4, გვ. 120-121.

ზე გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები და ხედვები.⁴ გადაწყვეტილების ფორმირებისას უმნიშვნელოვანესია, მათ შემოქმედებითად გაიზრონ განსახილველი დებულებები და თავისუფლად, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე დააფიქსირონ პოზიციები. თუმცა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ასევე სახელდება საფრთხედ განსხვავებული/თანმხვედრი აზრის ინსტიტუტის მიმართ. კერძოდ, პოლიტიკური აქტორის მიერ დანიშნული მოსამართლეთა დამოუკიდებლობა შეიძლება სასწორზე დადგეს, თუ საკითხი შეეხება მოსამართლეთა ხელახალ არჩევას ანდა დანიშვნას, ხოლო მოსამართლე შეიძლება იძულებული გახდეს ლოიალურად გამოხატოს განსხვავებული აზრი, ანდა საერთოდ არ გამოთქვას იგი, რათა თავი მოაწონოს მის წარმდგენ სუბიექტებს.⁵ ამ რისკების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია არსებობდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მყარი გარანტიები, როგორცაა თანამდებობაზე ხელახალი არჩევის დაუშვებლობა, უსაფუძვლოდ საქმის განხილვიდან ჩამოშორების აკრძალვა ანდა თანამდებობიდან გადაყენება. ასევე, სტაბილურად განსაზღვრული ჰონორარის მიღების შესაძლებლობა.

თავის მხრივ, მოსამართლეთა შესაძლებლობა, გამოთქვან განსხვავებული აზრი, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობას. ამასთანავე, საზოგადოებისთვის და სამეცნიერო წრეებისთვის ნათელი ხდება

გადაწყვეტილების მიმღებთა შორის შეუთანხმებლობის შესახებ. სასამართლო სისტემა, რომელიც მოსამართლეთს საშუალებას აძლევს, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულება, ხელს უწყობს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ინტელექტუალურ სიმკაცრეს. მოსამართლე უილიამ ბრენანმა განსხვავებული აზრი აღწერა, როგორც საჭირო ინსტრუმენტი, რათა საზოგადოებას აჩვენოს, რომ უმრავლესობამ მიიღო კანონის არასწორი ინტერპრეტაცია და საზოგადოებას მიუთითოს სხვა გზისკენ.⁶ მისი კონცეფციის მიხედვით, განსხვავებული აზრი სასარგებლოა სასამართლოების დემოკრატიული ლეგიტიმურობისთვის. აღნიშნული იდეა ათი წლის შემდეგ გაიზიარა ბრენანის იდეოლოგიურმა მოწინააღმდეგემ, მოსამართლე ანტონინ სკალიამ, რომელმაც საკუთარ ნაშრომში მიუთითა, რომ სასამართლოს ავტორიტეტი არ არის დამოკიდებული მისი გადაწყვეტილებების ერთსულოვნებაზე. განსხვავებულმა მოსაზრებებმა შესაძლოა გააუმჯობესოს გადაწყვეტილებათა ხარისხი. იგი საზოგადოებას აჩვენებს, რომ სასამართლო დასკვნები არსებით საკითხებზე არა უბრალო თანხმობა, არამედ დამოუკიდებელი და გონივრული დებატების პროდუქტია.⁷ შესაბამისად, იგი ემსახურება სამართალგანვითარებას, საქმის მრავალმხრივ შეფასებასა და გადაწყვეტილების შინაარსის სამართლებრივ სიცხადეს.⁸ გამჭვირვალობის უზრუნველყოფა არის საკონსტიტუციო

4 შეადარე. Lynch, A., 2004. Is Judicial Dissent Constitutionally Protected?. *Macquarie Law Journal*, 2, გვ. 81; Ginsburg, R. B., 2010. The Role of Dissenting Opinions. *MINNESOTA LAW REVIEW*, გვ. 3.

5 შეადარე. Šimáčková, K., 2019. Dissenting Opinions in Constitutional Courts: A Means of Protecting Judicial Independence and Legitimising Decisions. *The European Court of Justice*, OUP, გვ. 2.

6 შეადარე. Brennan, J. W., 1986. In Defense of Dissents, 37 *HASTINGS L.J.*, გვ. 427.

7 შეადარე. Scalia, A., 1998. Dissents, *OAH Magazine of History*, 13 (1), გვ. 20–21.

8 შეადარე. ჭავჭავაძე, პ., „რედ.“ 2024. საკონსტიტუციო სამართალწარმოება. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 400.

სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნების ფუნდამენტური ფაქტორი. განსხვავებული აზრი ავლენს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები არ წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, არამედ სახეზეა დასაბუთებული დასკვნები, რომლებიც ღიაა ალტერნატიული ინტერპრეტაციებისთვის. გარდა ამისა, განსხვავებული აზრი აძლიერებს სასამართლოს სისტემის ლეგიტიმურობას, რადგან ის აჩვენებს, რომ ითვალისწინებს მრავალფეროვან პერსპექტივებს. მაღალი რანგის საკონსტიტუციო საქმეებში, ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი არ გამხდარა კრიტიკული შესწავლის საგანი. ასეთ დროს, განსხვავებული თუ თანმხვედრი აზრი საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებს არწმუნებს, რომ სამართლებრივი დებულებები მრავალი თვალსაზრისით არის შეფასებული.

ზემოაღნიშნული, განსხვავებული/თანმხვედრი აზრის მომხრეები თავისივე პოზიციის საპირისპირო არგუმენტებსაც ასახელებენ, რაც განამტკიცებს ამ კონცეფციის ნეგატიურ ზეგავლენას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გავლენაზე. ამ კონცეფციის ნეგატიურ მხარედ ასახელებენ იმას, რომ იგი ლახავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ავტორიტეტს და უარყოფით ზეგავლენას ახდენს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების შედეგების ქმედითობაზე.⁹ შემდეგი არგუმენტები, რაც განსხვავებული აზრის წინააღმდეგ სახელდება არის ის, რომ

განსხვავებულმა/თანმხვედრმა აზრმა განსაზღვრულობის ნაცვლად, კიდევ უფრო მეტი ბუნდოვანება შეიძლება შემატოს იმ კონსტიტუციურ დებულებებს, რომელთა განმარტებასაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პროცესში ახდენს სასამართლო. ამასთან, დასაშვებია, რომ პოლიტიკური პირების მხრიდან, პარლამენტის წევრები იქნებიან თუ პრეზიდენტი, ბოროტად და არამიზნობრივად არ იქნას გამოყენებული განსხვავებული აზრი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს გადაწყვეტილებებით დადგენილი შედეგების რეალიზებას.¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა მიმართაც განსხვავებული აზრები აქვს გამოთქმული მოსამართლეებს, ვერ მოქმედებს დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით. ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოში, განსხვავებული აზრების დიდი ოდენობით არსებობას უკავშირებენ მოსამართლეთა პოლიტიკურ ტენდენციურობას. იგი ასევე, სახელდება შემაფერხებელ გარემოებად, რათა სასამართლომ დროულად იმსჯელოს და გადაწყვიტოს სადავოდ გამხდარი საკითხი.¹¹ ამასთანავე, განსხვავებული/თანმხვედრი აზრის ინსტიტუტი აღიქმება, როგორც მოსამართლეთა სოლიდარულობის შემასუსტებელი გარემოება. მიიჩნევენ, რომ იგი იშვიათად უნდა გამოითქმებოდეს, დასაბუთებულობის მაღალი ხარისხით სარგებლობდეს და არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი. ამასთან, უნდა იყოს ერთი მოსამართლის პერსონალურ ხელვა და არა კონსოლიდირებული უმცი-

9 შეადარე. Mathen, C., 2003. Dissent and Judicial Authority in Charter Cases. UNBL, გვ. 327 – 328.

10 შეადარე. Vitale, J. D., 2014.. The Value of Dissent in Constitutional Adjudication: A Context-Specific Analysis. Review of Constitutional Studies, გვ. 93-94.

11 შეადარე. ტოკუშევი, დ., 2010. ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებული განსხვავებული და თანმხვედრი აზრები. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 4, გვ. 129.

რესობის პოზიცია.¹² აღნიშნულის გამო, სასამართლო შეიძლება გახდეს საზოგადოების მხრიდან კრიტიკის საგანი. ამიტომაც, განსხვავებული აზრის კონცეფციის მთავარი გამოწვევა არის ის, რომ იგი ნეგატიურ გავლენას ახდენს სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაზე და შეუსაბამოა, მისი საბოლოოობის საკითხთან. ამასთან, ლახავს ინსტიტუციურ ავტორიტეტს და ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლეთა მიუკერძოებლობასა და კოლეგიალობას.

2. განსხვავებული/თანმხვედრი აზრის სამართლებრივი საფუძვლები და ფაქტობრივი მდგომარეობა საქართველოში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა განსახილველ საქმესთან მიმართებით გამოთქვას განსხვავებული და თანმხვედრი აზრი.¹³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ადგენს, რომ განსხვავებული თუ თანმხვედრი აზრი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა გამოქვეყნდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე,¹⁴ ასევე, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე.¹⁵ განსხვავებული თუ თანმხვედ-

რი აზრის გამოთქმა შესაძლებელია, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ასევე, დასკვნასთან, განჩინებასა თუ საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით.¹⁶ ამრიგად, სასამართლოს ნებისმიერი ტიპის გადაწყვეტილებასთან მიმართებით დასაშვებია, მოსამართლემ გამოაქვეყნოს დამოუკიდებელი პოზიცია. ამავდროულად, პროცესი გამჭირვალეობის მაღალი ხარისხით სარგებლობს, რამეთუ გამოთქმული მოსაზრებები ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდებზე და ნებისმიერი დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად მოიძიოს და გაეცნოს მას. მოსამართლეთა თავისუფლების საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ელი პუნქტითაა გარანტირებული. იგი ადგენს, რომ მოსამართლე მოქმედებს დამოუკიდებლობის პრინციპის საფუძველზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მასზე რაიმე სახით ზეწოლა ანდა გავლენის მოხდენის მცდელობაც კი აკრძალულია. მსგავსი მოქმედება წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას და ექვემდებარება სამართლებრივ პასუხისმგებლობას. მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. იგი თავისუფალია ნებისმიერი ვალდებულებისაგან, რომელიც მოითხოვს, რაიმე სახის ანგარიშის წარდგენას, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, სამართლებრივი აქტები, რომელებიც მიზნად ისახავენ მოსამართლე-

12 შეადარე. Malenovsky, J., 2011. L'indipendance des juges internationaux, In Académie de Droit International de La Haye. Recueil des Cours de l'Académie de droit international. Leiden: Nijhoff, გვ. 262 – 263.

13 მუხლი 47, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23!?publication=32>> [წვდომის თარიღი 05.10.2025].

14 შეადარე. იქვე. პუნქტი 13, მუხლი 43.

15 იქვე. პუნქტი 14, მუხლი 43.

16 იქვე. მუხლი 47, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23!?publication=32>> [წვდომის თარიღი 05.10.2025].

თა დამოუკიდებლობის შეზღუდვას, არაკანონიერია და ითვლება ბათილად. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 35-ე მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს მოსამართლეების საქმის განხილვისაგან ჩამოცილების საფუძვლებს. აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ, აცილების ან თვითგანრიდების შემთხვევაში. ასევე, თუ მას შეუწყდება ან შეუჩერდება უფლებამოსილება. გარდა ამისა, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, დამატებით, ქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ხელშეუხებლობისა და სოციალური დაცვის გარანტიებს. ამრიგად, მოსამართლეთა თავისუფლებისათვის, რომ შეუფერხებლად გამოთქვან განსხვავებული თუ თანმხვედრი აზრი საკმარისი სამართლებრივი საფუძვლები არსებობს. შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოში, განსხვავებული აზრის ინსტიტუტის მიმართ პოზიტიური მიდგომა შეიმჩნევა. მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და შინაგანი რწმენის საფუძვალზე გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობას.¹⁷

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ამ დრომდე საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე 95 ჩანაწერი მოიძებნება განსხვავებულ აზრთან დაკავშირებით. ამასთან, ყველაზე მეტი კი გამოთქმულია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. 2000-2010 წლის პერიოდში მხოლოდ 7 განსხვავებული აზრია გამოქვეყნებული, 2010-2020 წლებში – 34, ხოლო 2020-2025 წლებში – 54. მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მოსამართლეთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხარისხი

გაზრდილია, რამაც წაახალისა დებატები და დისკუსიები განსახილველ სადავო საკითხებთან მიმართებით. ამასთანავე, ეს მონაცემები მიუთითებს, რომ კოლეგებს შორის აზრთა სხვადასხვაობისა და შეპირისპირების დონე საკმაოდ მომატებულია. სტატისტიკის მიზნებიდან გამომდინარე, შესაფასებელია თუ რა გავლენას ახდენს განსხვავებული აზრი გადაწყვეტილებათა შედეგებზე და როგორ არის დაბალანსებული მოსამართლეთა კოლეგიალობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ ძირითადად განსხვავებულია აზრი იწყება შესავალი სიტყვით, სადაც ავტორები გამოთქვამენ პატივისცემას კოლეგების მიმართ და მხოლოდ ამის შემდეგ აყალიბებენ პოზიციას, რაც თავის მხრივ მოსამართლეთა შორის ურთიერთპატივისცემის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. სამართლებრივი საფუძვლების მიხედვით განსხვავებულ აზრს პირდაპირი გავლენა არ აქვს გადაწყვეტილებაზე და არ იწვევს მის შეცვლას. იგი უმეტესწილად ხდება მსჯელობის საგანი საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით.

პირველი განსხვავებული აზრი, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ისტორიაში, თარიღდება 2003 წლის 30 აპრილით, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა, იაკობ ფუტკარაძემ ჩამოაყალიბა განსხვავებული პოზიცია N1/3/161 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელე მხარე ითხოვდა არაკონსტიტუციურად გამოცხადებულიყო, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ სასამართლოსადმი მიმართვის, სამოქალაქო საპროცესო

17 შეადარე. ზოიძე, ბ., 2007. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GIZ, გვ. 80.

კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი 5 წლიანი ვადა. მოსარჩელე მხარე უთითებდა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციით გარანტირებულ ყოველი ადამიანის უფლებას, რომ თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. მოცემულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაადგინა სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა და მიიჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ხანგრძლივი გადასინჯვის დაშვება საფრთხეს შეუქმნიდა მესამე პირთა ინტერესებს და ეწინააღმდეგებოდა სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ღირებულებას.¹⁸ განსხვავებული აზრის ავტორი არ დაეთანხმა სასამართლოს არგუმენტაციას და დასაბუთების დასაწყისშივე მიუთითა, რომ მის მიერ განსხვავებულ აზრში ჩამოყალიბებული მსჯელობა შესაძლოა სასარგებლო გამხდარიყო კონსტიტუციის დებულებათა განმარტებისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით. იგი ყურადღებას ამახვილებდა, სასამართლოს მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბებაზე, რაც შემდგომში საკონსტიტუციო სარჩელების თუ წარდგინების დაუშვებლობის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. ასევე, განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილების მიმდებებს, სასამართლოსადმი მიმართვის ხელოვნური ბარიერის ნაცვლად უნდა ემსჯელათ პროგრესულად, სამართლიანი სამართლებრივი კრიტერიუმების შემუშავების შესახებ.¹⁹ აღნიშნული საქმე და განსხვავებული აზრი, საინტერესოა იმითაც, რომ 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი 5 წლიანი ვადა, კიდეც,

ორჯერ გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადობის საგანი. ორივე შემთხვევაში, ოღონდ სხვადასხვა საფუძვლით და არგუმენტაციით, სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქმის წარმოების განახლების შესახებ იმპერატიულად განსაზღვრული ვადა.²⁰ ამ გადაწყვეტილებებში მითითებული სამართლებრივი მოტივაციის საფუძვლები 10-20 წლით ადრე განსხვავებულ აზრში აღნიშნა მოსამართლე იაკობ ფუტყარაძემ, რომელმაც სასამართლო პრაქტიკისა და ნორმის გააზრების პროგრესული ხედვა ჩამოაყალიბა.

აღსანიშნავია საქმე, რომელიც შეეხებოდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შესაძლებლობას, რომ პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე განხორციელებულიყო ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რათა კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან რეალურ დროში მომხდარიყო ინფორმაციის მოპოვება და 2 წლის ვადით შენახვა. საჩივრის ავტორები შუამდგომლობდნენ, რომ სასამართლოს სადავოდ გამხდარი ნორმები არაკონსტიტუციურად ეცნო არსებითი განხილვის გარეშე, რამეთუ მსგავსი შინაარსის შემცველი საკანონმდებლო რეგულაციები საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იყო ცნობილი. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი 8³ მუხლებს შორის კი თვისობრივი მსგავ-

18 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე N1/3/161).

19 შეადარე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის იაკობ ფუტყარაძის განსხვავებული აზრი (საქმე N1/3/161).

20 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე N3/1/531). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N3/2/1400).

სება იყო, რამეთუ ორივე ითვალისწინებდა გადაუღებელი აუცილებლობის შემთხვევაში პროკურორის დადგენილების საფუძველზე პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას. პირველმა კოლეგიამ არ გაითვალისწინა მხარის შუამდგომლობა და საოქმო ჩანაწერით საქმე არსებითად განსახილველად მიიღო.²¹ ეს საქმე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სარჩელის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით კოლეგიის წევრს ქონდა განსხვავებული აზრი, რომელიც სრულად აყალიბებდა გასაჩივრებული ნორმის შინაარსობრივ მსგავსებას უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმასთან. ასევე, მიუთითებდა, რომ მოცემული დავის ფარგლებში, სადავო ნორმები იმეორებდა სასამართლოს მიერ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილ უფლებაში ჩარევის, ინტენსივობისა და შედეგების არაგანჭრეტადობის პრობლემურ საკითხს. სწორედ, ნორმის ბუნდოვანება გახდა 2007 წელს გასაჩივრებული რეგულაციების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. შედეგად, განსხვავებული აზრის ავტორი მიიჩნევდა, რომ სასამართლოს უნდა დაედგინა შინაარსობრივი მსგავსება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმასთან და არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად გამოცხადებინა სადავო ნორმები.²² სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის შემდეგ დააკმაყოფილა საჩივარი და არაკონსტიტუციურად მიიჩნია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი 8³ მუხლით დადგენი-

ლი რეგულაციები, იმ საფუძველით, რომ ნორმა არ ადგენდა უფლებაში ჩარევის მკაფიო, ნაკლებად მზღლდავ და პროპორციულ საშუალებას, რაც თავის მხრივ ქმნიდა პირად ცხოვრებაში დაუსაბუთებელი ჩარევის მომეტებულ საფრთხეს.²³ განხილული შემთხვევიდან იკვეთება, თუ რა მნიშვნელოვანი გავლენა აქვს განსხვავებული აზრის ინსტიტუტს. მოცემულ საქმეში, უმცირესობაში აღმოჩენილი კოლეგიის პოზიცია დროულად, რომ გაზიარებულიყო, იგი ხელს შეუწყობდა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მყისიერ განხორციელებას, სასამართლოს გადატვირთულობის რისკის თავიდან აცილებასა და არაკონსტიტუციური რეგულაციების კანონმდებლობიდან დროულ ამოღებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს ორჯერ მოუწია ემსჯელა გენდერული კვოტირების საკითხებზე და შეეფასებინა პარტიათა პროპორციულ სიებში განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა გარკვეული რაოდენობით მითითების ვალდებულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ. პირველი საქმე შეეხებოდა, საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისას, პარტიული საპარლამენტო სიის შემადგენლობის ყოველ ოთხეულში განსხვავებული სქესის კანდიდატის მითითებას.²⁴ ხოლო მეორე საქმე ითვალისწინებდა გენდერული კვოტის დადგენას ადგილობრივ არჩევნებში. სადავო ნორმის მიხედვით, პროპორციული სიის ყოველ სამეულში განსხვავებული სქესის კანდიდატის მითითება სავალდებულო იყო. ამავდროულად გენდერული

21 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის საოქმო ჩანაწერი (საქმე №625,640).

22 შეადარე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრი (საქმე №625,640).

23 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/625,640).

24 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/3/1526).

ბალანსი შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო არჩევნების შემდგომ პერიოდშიც.²⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ, ორივე საქმესთან მიმართებით მხარი დაუჭირა წარმომადგენლობით ორგანოებში გენდერულ კვოტირების მნიშვნელობას და მხოლოდ ქალთა კვოტირების აუცილებლობა აღიარა. შესაბამისად, სადავო ნორმები ძალადაკარგულად გამოაცხადა ნაწილობრივ, კერძოდ მამაკაცთა კვოტირების ნორმატიული შინაარსის ნაწილში. პირველ გადაწყვეტილებასთან მიმართებით სამ მოსამართლეს,²⁶ ხოლო მეორე საქმესთან დაკავშირებით პლენუმის ოთხ წევრს აქვთ განსხვავებული პოზიცია დაფიქსირებული.²⁷ განსხვავებული აზრის ავტორები მიუთითებდნენ, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ნორმის ლეგიტიმური მიზანი, უფლების ფარგლები და უფლებაში ჩარევის პროპორციულობა, რის გამოც გენდერული ნეიტრალიტეტის შენარჩუნების ნაცვლად, ჩამოაყალიბა განსხვავებული და დისკრიმინაციული მიდგომა სქესთა მიმართ. ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლო დაუახლოვდა პოზიტიური

კანონმდებლის როლს და სადავო ნორმის შინაარსი არაკონსტიტუციურად ცნო, რაც პირდაპირ მიუთითებდა პოლიტიკურ ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მოთხოვნაზე. სწორედ ამის მსგავსად შეიცვალა საარჩევნო კანონმდებლობა გადაწყვეტილებების შემდეგ და ნეიტრალური ტერმინის ნაცვლად პირდაპირ მიეთითა ქალთა კვოტირების აუცილებლობა.²⁸ თუმცა, საბოლოოდ პარლამენტმა ეს რეგულაცია გააუქმა თანასწორობის უფლების უხეში დარღვევის საფუძვლით.²⁹ საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად იყენებდნენ ზემოაღნიშნულ საქმეებზე განსხვავებული აზრის ავტორების მითითებას, ხოლო ინიციატივის მოწინააღმდეგეები და მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც პარლამენტს განცხადებით მიმართეს, ციტირებდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა არგუმენტაციას.³⁰ მოცემული შემთხვევა მრავალმხრივ საინტერესოა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ წარმოაჩენს განსხვავებული აზრის ინსტიტუტის

25 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/2/1647).

26 შეადარე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი (საქმე №3/3/1526). საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ირინე იმერლიშვილისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი (საქმე №3/3/1526).

27 შეადარე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი (საქმე №3/2/1647). საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ირინე იმერლიშვილისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი (საქმე №3/2/1647). საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი (საქმე №3/2/1647).

28 მუხლი 203, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ (6723-რს). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1#DOCUMENT:1>> [წვდომის თარიღი: 05.10.2025].

29 შეადარე. მუხლი 203, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ (4158-XIVმს-Xმპ) [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6151142?publication=0#DOCUMENT:1>> [წვდომის თარიღი 05.10.2025].

30 შეადარე. განცხადება სავალდებულო გენდერული კვოტის გაუქმების თაობაზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[EnswrthqybF2-xAihNw5A1hJnNhqvlp--lg-ETWEYwlaA/viewform](https://enswrthqybF2-xAihNw5A1hJnNhqvlp--lg-ETWEYwlaA/viewform)> [წვდომის თარიღი 05.10.2025].

არსს სამართლებრივი დებულებების ყოველმხრივ შესწავლასა და ნორმათა განმარტების განვითარებასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღმოჩნდა უმცირესობაში მყოფი მოსამართლეების პოზიცია და სამართლებრივი მსჯელობა საპარლამენტო უმრავლესობის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველი და როგორ წარმოჩნდა პოზიტიური კანონმდებლის როლში შესული სასამართლო, რომლის პოზიცია საკანონმდებლო ფუნქციის მქონე ორგანოს მიერ არ იქნა გაზიარებული. მიზეზების ძიებამ შეიძლება ძალიან შორს წაგვიყვანოს, ერთი რამ კი ფაქტია, განსხვავებული პოზიციის ავტორებმა, რომელთა რაოდენობა ცოტა არ არის (4 მოსამართლე), თავიდანვე გამოავლინეს უმრავლესობის პოზიციის ნაკლოვანებები და სასამართლოს მხრიდან გაკეთებული განმარტებებით უფლებათა დაცულ სფეროში დამატებითი ჩარევა. აღნიშნული კინეგატიურად აისახება სასამართლოს რეპუტაციაზე და მისი გადაწყვეტილებების შედეგების ურყეობაზე.

აუცილებლად აღსანიშნავია პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმე, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნას თან ახლავს სამი მოსამართლის განსხვავებული აზრი.³¹ მსგავს პრეცედენტულ საქმეზე 6 მოსამართლის თანხმობით გადაწყვეტილების მიღება კრიტიკულად იქნა შეფასებული და სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვები გააჩინა. განსხვავებული აზრის ავტორთა რაოდენობა პირდაპირ მიუთითებს,

რომ ამ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება დასაბუთების მაღალი ხარისხით ვერ სარგებლობს.³² სასამართლო განსხვავებული აზრის ავტორების მხრიდანაც იქნა გაკრიტიკებული. მათ პირდაპირ მიუთითეს, რომ კოლეგებმა არსობრივად არასწორად განმარტეს საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციური მანდატი და მთავრობის თანხმობის მიზანი. ამავდროულად, დასაბუთება წარმოადგინეს იმასთან დაკავშირებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის დარღვევის ფორმალური და არა მიზნობრივი შეფასებების განუხორციელებლობით დააყენა საკონსტიტუციო კონტროლის მნიშვნელობა.³³ საყურადღებოა, რომ საზოგადოებაში და მასობრივი მედიის საშუალებებში განსაკუთრებულად არის გაშუქებული განსხვავებული აზრის ავტორთა პოზიციები, საქმესთან დაკავშირებული განმარტებები და მოსამართლეთა წარმდგენი ხელისუფლების შტოსადმი მიკერძოებულობის საკითხი. აღნიშნული სტატიები კი თავად საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის ასევე, განსხვავებული აზრის ავტორთა დისკრედიტაციისკენაა მიმართული. ნიშანდობლივია, რომ განსხვავებული აზრის გამოქვეყნების შემდეგ გადაწყვეტილების მიმღებ ერთ-ერთ მოსამართლეს გამოცემული აქვს კრიტიკული პოზიცია განსხვავებული აზრების გამო, როგორც მიღებული გადაწყვეტილების „დაცვის“ საშუალება.³⁴ მართალია, მსჯელობა იმ-

31 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის დასკვნა (საქმე №3/1/1797).

32 შეადარე. კოპალეიშვილი, მ., 2023. პრეზიდენტის იმპიჩმენტი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 218.

33 შეადარე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი (საქმე №3/1/1797).

34 შეადარე. გოცირიძე, ე., 2023. „განსხვავებული აზრის“ გამო – პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://constcourt.ge/pdf/657045314a258.pdf/eva%20gotsiridze.pdf>> [წვდომის თარიღი 05.10.2025].

პიჩმენტის საკითხზე უფრო ფართოდაა წარმოდგენილი თუმცა, მსგავსი ფორმატით მოსამართლეთა შორის დისკუსიის წარმოჩენა და ტერმინი „კრიტიკის“ გამოყენება კიდევ უფრო წარმოაჩენს სასამართლოს შიგნით დაპირისპირების სიმძაფრეს და ვფიქრობ მეტ არადამაჯერებლობას მათებს გადაწყვეტილებას. ეს კი ნეგატიურად აისახება სასამართლოს ინსტიტუტისადმი დამოკიდებულებასა და მისი გადაწყვეტილებების შედეგების ლეგიტიმურობაზე.

აუცილებლად აღსანიშნავია საქმე, სადაც დავა შეეხებოდა არჩევნების ჩატარების ფარულობისა და საყოველთაობის კომპონენტების დაცვის საკითხს.³⁵ ამ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გამოთქმული ერთ-ერთი განსხვავებული აზრი პირდაპირ იწყება ხისტი, რიტორიკული შეკითხვით, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას, მნიშვნელობასა და როლს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. „რისთვის არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, თუ იგი უარს ამბობს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაზე?“³⁶ მოყვანილი არგუმენტაცია კი მიმართულია იქითკენ, რომ წარმოჩნდეს, თუ, როგორ არ შეისწავლა სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებები და არ შეაფასა კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა არჩევანის თავისუფლების კრიტიკული წინაპირობები, როგორიცაა კენჭისყრის ფარულობა და საარჩევნო უფლების საყოველთაობა. განსხვავებულ აზრის ავტორი ფორმალურადაც არ გამოთქვამს პატივისცემას კოლეგების მიმართ და ნათლად წარმოაჩენს შიდა და-

პირისპირებას. ამასთანავე, მიუთითებს სასამართლოს ნაკლოვანებებზე, რომელთაც იგი ავლენს, იმ საქმეებთან მიმართებით, სადაც პოლიტიკური ინტერესები იკვეთება. აღნიშნული კი თავისთავად ნეგატიურად აისახება საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტზე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეუცვლელობაზე.

საქართველოში მოსამართლეთა მხრიდან თანმხვედრი აზრის გამოხატვასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა ბევრად მწირია. საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია მხოლოდ 17 თანმხვედრი აზრი. ამასთანავე, თანმხვედრ აზრებში გამოთქმული არგუმენტაცია, სადავო ნორმების განმარტებებთან დაკავშირებით საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. ძირითადად ყურადღება ეთმობა უფლებათა შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნების, შემზღუდავი ღონისძიებების გამოსადეგობასა და აუცილებლობის შეფასებას. ასევე, უფლებაში ჩარევის მეთოდებისა და საშუალებების პროპორციულობის კონტექსტში გაანალიზება. მსგავსი მსჯელობები კი ნათლად წარმოაჩენს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს საქმის ყოველმხრივ შესწავლასა და შეფასებას. გადაწყვეტილებების უმეტესობას მხოლოდ, ერთი თანმხვედრი აზრი ახლავს. ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც საქმეზე დაიწერა 3 თანმხვედრი აზრი. საქმე შეეხება სასამართლოს უფლებამოსილებას, იმსჯელოს სადავო ნორმის შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხზე. თანმხვედრ აზრთაგან ერთ-ერთი იმეორებს სასამართლოს გან-

35 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის განჩინება (საქმე №3/7/1848,1849).

36 საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი (საქმე №3/7/1848,1849).

მარტებებს.³⁷ ხოლო დანარჩენი ორი მოსამართლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ძალიან ჰგავს განსხვავებულ აზრს, რადგან ავტორები მიუთითებენ იმაზე, რომ სასამართლოს ნორმათა დარღვევაზე უნდა ემსჯელა სამოტივაციო ნაწილში და არსებითად განსახილველად მიეღო საქმე.³⁸ მიუხედავად თანმხვედრ აზრში ჩამოყალიბებული განსხვავებული პოზიციისა, ისინი დაეთანხმნენ სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილს, რაც ბუნდოვანებას აჩენს გამოსატულ პოზიციასა და საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებასთან მიმართებით.

ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ შესაძლებლობა განსხვავებული და თანმხვედრი აზრი გამოხატონ შეუზღუდავად. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით მათ იურიდიული ძალა არ გააჩნიათ. თუმცა, იგი იძლევა შესაძლებლობას სხვა რაკურსით შევხედოთ განსახილველ საქმეს, რაც ირიბად მაინც ახდენს ნეგატიურ ზეგავლენას საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტზე, მოსამართლეთა კოლეგიალობაზე, გადაწყვეტილებათა საბოლოობასა და შეუცვლელობაზე.

დასკვნა

განსხვავებული და თანმხვედრი აზრის კონცეფცია წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შესაძლებლობას, თავისუფლად გამოხატონ ინდივიდუალური პოზიციები. იგი აძლიერებს სასამართლოს გამჭირვალეობას, საკითხის მრავალმხრივი განხილვის

შესაძლებლობას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და კონსტიტუციური სამართლის დინამიკაში განვითარებას. განსხვავებული და თანმხვედრი აზრები წარმოაჩენენ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები არ არის აბსოლუტური ქმმარიტება და იგი დებატების, მრავალფეროვანი ხედვების შეფასების შედეგია.

ამ ინსტიტუტს ნეგატიური მხარეებიც გააჩნია, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებების საბოლოობის პრინციპის შერყევას, მათ ავტორიტეტულობას, კონსტიტუციურ დებულებათა განჭვრეტად განმარტებასა და მოსამართლეთა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას უკავშირდება. გადაწყვეტილებებს, რომელთაც თან ახლავს განსხვავებული აზრი, შესაძლოა ვერ მოქმედებდეს დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით და შეუსაბამო საბოლოობის პრინციპთან, რადგანაც უშვებს კონსტიტუციური დებულებების ალტერნატიული განმარტებებით ჩანაცვლების დასაშვებობას. ამასთან, შესაძლოა გააჩინოს მოსამართლეთა პოლიტიკური მიკერძობის ეჭვები, რაც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს და აფერხებს სასამართლოს შედეგების დროულ რეალიზებას. მოსამართლეთა მიერ განსხვავებული აზრების ხშირი და რადიკალური ფორმით გამოხატვა შესაძლოა აღქმულ იქნას, როგორც კოლეგიალურობის ნაკლებობა და დააზიანოს სასამართლოს ერთიანობა. ამ რისკების თავიდან აცილებისათვის კი აუცილებელია, სახელმწიფოში არსებობდეს სასამართლოსა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტები.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ხელს უწყობს განსხვავებული და

37 შეადარე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/6/642). საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიშვილის თანმხვედრი აზრი (საქმე №3/6/642).

38 შეადარე. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის გიორგი კვერენჩხილაძის და ლალი ფაფიაშვილის თანმხვედრი აზრი (საქმე №3/6/642).

თანმხვედრი აზრის ინსტიტუტის განვითარებას. საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით გარანტირებულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, თავისუფლად და შეუზღუდავად გამოხატონ ინდივიდუალური პოზიციები სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, ეს აზრები უნდა იყოს წერილობითი ფორმით და გამოქვეყნებული ოფიციალურ ვებგვერდებზე, რაც პროცესის გამჭვირვალობის წინაპირობაა.

ბოლო წლებში განსხვავებული აზრის გამოხატვის პრაქტიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც შეიძლება განპირობებული იყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, პროფესიული თვითშეფასებისა და ინსტიტუციური გაძლიერების საფუძვლით. პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ეს არის კონსტიტუციური დებულებების განმარტების ალტერნატიული გზა, ამდინდრებს სასამართლო პრაქტიკას და შესაძლოა წინასწარ ასახავდეს სამართლებრივი აზროვნების ტენდენციებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ აქვთ უშუალო გავლენა კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე. ამასთან, დაუყოვნებლივი რეაგირების მექანიზმის არქონა და განსხვავებული პოზიციების უმცირესობისადმი მიკუთვნებულობა ამცირებს პრევენციულ ფუნქციას. პრაქტიკიდან გამომდინარე, განსხვავებული აზრების დროული გაზიარება რიგ შემთხვევებში შეიძლება გამხდარიყო სასამართლოს გადატვირთულობის, დავების გაჭიანურებისა თუ არაკონსტიტუციური ნორმების მოქმედების პრევენციული ინსტრუმენტი.

განსხვავებული აზრები ხშირად არის სამეცნიერო კვლევების, დისკუსიებისა და სამართლებრივი ანალიზის საგანი. იგი შეიძლება გადაიზარდოს პოლიტიკურ არგუმენტადაც და გახდეს საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველიც. მსგავსი შემ-

თხვევები რიგ გამოწვევებს ქმნის სასამართლოსათვის. მაგალითად, კვოტირების საქმეებთან დაკავშირებული განსხვავებული აზრების მოტივებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ნორმის გაუქმებამ ზიანი მიაყენა სასამართლო გადაწყვეტილებების ინსტიტუციურ გავლენას. პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმიდან კინათლად გამოიკვეთა ინსტიტუციური კრიზისის რისკი, რადგან ეჭვქვეშ დადგა სასამართლოსა და მათ შორის განსხვავებული აზრის ავტორების მიუკერძოებლობა და გადაწყვეტილების დასაბუთებულობა.

მართალია, განსხვავებული და თანმხვედრი აზრების გამოთქმა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გამოხატულებად მიიჩნევა, მაგრამ იგი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოსამართლეთა კოლეგიალურობის შენარჩუნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ეს აზრები სხვა მოსამართლეებისადმი პატივისცემის გამოხატვით იწყება, იგი უფრო ფორმალური ელემენტის შთაბეჭდილებას ტოვებს და არ გამორიცხავს შინაარსობრივ დაპირისპირებებს. ამასთან, მათი ხშირი, არაკორექტული და ირონიული გამოხატვა შესაძლებელია მიუთითებდეს მოსამართლეთა შორის იდეურ განხეთქილებაზე, რამაც შესაძლოა შელახოს სასამართლოს რეპუტაცია და შეასუსტოს სასამართლოს ერთიანობა. ამის მკაფიო მაგალითია საარჩევნო უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული საქმე, სადაც განსხვავებული აზრის ავტორი ხისტი რიტორიკით იწყებს პოზიციის გამოხატვას, მიუთითებს სასამართლოს მხრიდან ვალდებულებების თავიდან აცილებაზე და საქმის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, რომლითაც ცხადად წარმოაჩენს შიდა იდეურ დაპირისპირებას და ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს ნეიტრალიტეტს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ თანმხვედრი აზრები ნაკლებად გამოიყენება

მოსამართლეების მიერ. უმეტესწილად, ეს აზრები აღრმავებენ გადაწყვეტილების სამართლებრივ არგუმენტაციას, აძლიერებენ ლოგიკურ სტრუქტურას და შეიძლება გახდეს პრეცედენტული ინტერპრეტაციის საფუძველიც კი. თუმცა, მთავარი გამოწვევა გამოსატულ პოზიციათა შორის ბუნდოვანებაა, რაც ბაღებს გაურკვევლობას გამოსატული აზრების შინაარსთან დაკავშირებით.

ამრიგად, საქართველოში განსხვავებული და თანმხვედრი აზრის ინსტიტუტი აქტიურად ვითარდება, თუმცა მისი ინსტიტუციური გავლენა და ფუნქციური

მნიშვნელობა დამოკიდებულია მის დროულ, სისტემურ და სტრატეგიულ რეალიზებასთან. ზემოაღნიშნული გამოწვევების თავიდან აცილებისათვის აუცილებელია, განსხვავებული და თანმხვედრი აზრები გამოსატული იქნას კონსტრუქციულად, იყოს სამართლებრივად მკაფიოდ არგუმენტირებული და პატივისცემით ფორმულირებული, რათა გააძლიეროს სასამართლოს ავტორიტეტი და გადაწყვეტილებების საბოლოობის ხარისხი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეს ინსტიტუტი გახდეს სასამართლო აზროვნების განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველი.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზოიძე, ბ., 2007. საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GIZ.
2. თოაღერი, თ., 2010. განსხვავებული და თანმხვედრი მოსაზრებების მნიშვნელობა რუმინეთის კონსტიტუციური მართლმსაჯულებისათვის. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 4.
3. კოპალეიშვილი, მ., 2023. პრეზიდენტის იმპიჩმენტი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. სამართლის ჟურნალი, 2.
4. მავჩიჩი, ა.მ., 2010. განსხვავებული და თანმხვედრი მოსაზრებების (დამოუკიდებელი მოსაზრებების) მნიშვნელობა საკონსტიტუციო და სასამართლო მეთვალყურეობის განვითარებისათვის სლოვენის სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 4.
5. ტოკუშვი, დ., 2010. ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებული განსხვავებული და თანმხვედრი აზრები. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 4.
6. ჯავახიშვილი, პ., „რედ.“ 2024. საკონსტიტუციო სამართალწარმოება. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. Brennan, J. W., 1986. In Defense of Dissents, 37 HASTINGS L.J.
8. Firman, F. A., 2015. Principles of Freedom of Justice in Decidene The Case as a Constitutional Mandate. Jurnal Konstitusi, 12 (2).
9. Ginsburg, R.B., 2010. The Role of Dissenting Opinions. MINNESOTA LAW REVIEW.
10. Lynch, A., 2004. Is Judicial Dissent Constitutionally Protected?. Macquarie Law Journal, 2.
11. Malenovsky, J., 2011. L'indipendance des juges internationaux, In Académie de Droit International de La Haye. Recueil des Cours de l'Académie de droit international. Leiden: Nijhoff.
12. Mathen, C., 2003. Dissent and Judicial Authority in Charter Cases. UNBLJ.
13. Scalia, A., 1998. Dissents, OAH Magazine of History, 13 (1).
14. Šimáčková, K., 2019. Dissenting Opinions in Constitutional Courts: A Means of Protecting Judicial Independence and Legitimising Decisions. The European Court of Justice, OUP.
15. Vitale, J. D., 2014.. The Value of Dissent in Constitutional Adjudication: A Context-Specific Analysis. Review of Constitutional Studies.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23!?publication=32> [წვდომის თარიღი 05.10.2025].
2. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ. (6723-რს) [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1#DOCUMENT:1> [წვდომის თარიღი 05.10.2025].
3. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ (4158-XIVმს-ჩმპ). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6151142?publication=0#DOCUMENT:1;> [წვდომის თარიღი 05.10.2025].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/3/161).
2. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის იაკობ ფუტყარაძის განსხვავებული აზრი (საქმე №1/3/161).
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/1/531).
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის საოქმოდ ჩანაწერი (საქმე №625,640).
5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრი (საქმე №625,640).
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/625,640).
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/3/1526).
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/2/1647).
9. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი (საქმე №3/3/1526).

10. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ირინე იმერლიძევილისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი (საქმე №3/3/1526).
11. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი (საქმე №3/2/1647).
12. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ირინე იმერლიძევილისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი (საქმე №3/2/1647).
13. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი (საქმე №3/2/1647).
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ოქტომბრის დასკვნა (საქმე №3/1/1797).
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №3/2/1400).
16. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ირინე იმერლიძევილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი (საქმე №3/1/1797).
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის განჩინება (საქმე №3/7/1848,1849).
18. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი (საქმე №3/7/1848,1849).
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/6/642).
20. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაია კოპალეიძევილის თანმხვედრი აზრი (საქმე №3/6/642).
21. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის გიორგი კვერენჩილაძის და ლალი ფაფიაშვილის თანმხვედრი აზრი (საქმე №3/6/642).

ინტერნეტ რესურსი:

1. გოცირიძე, ე., 2023. „განსხვავებული აზრის“ გამო – პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/pdf/657045314a258.pdf/eva%20gotsiridze.pdf> [წვდომის თარიღი 05.10.2025].
2. განცხადება სავალდებულო გენდერული კვოტის გაუქმების თაობაზე. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://docs.google>.

[com/forms/d/e/1FAIpQLSdX7EnsWrthQybF2-xAlhnW5A1hJnNhqvlp--Jg-ETWEYWlaA/viewform](https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23!publication=32) [წვდომის თარიღი 05.10.2025].

BIBLIOGRAPHY:

Used literature:

1. Brennan, J. W., 1986. In Defense of Dissents, 37 HASTINGS LJ. (in English)
2. Firman, F. A., 2015. Principles of Freedom of Justice in Decidene The Case as a Constitutional Mandate. Journal Konstitusi, 12 (2). (in Indonesian)
3. Ginsburg, R.B., 2010. The Role of Dissenting Opinions. MINNESOTA LAW REVIEW. (in English)
4. Javakhishvili, P. „Ed.“, 2024. Constitutional Proceeding. Sul Khan-Saba Orbeliani University Press. (in Georgian)
5. Kopaleishvili, M., 2023. Impeachment of the President and the practice of the Constitutional Court of Georgia. Journal of Law, 2. (in Georgian)
6. Lynch, A., 2004. Is Judicial Dissent Constitutionally Protected? Macquarie Law Journal, 2. (in English)
7. Malenovsky, J., 2011. L'indépendance des juges internationaux, In Académie de Droit International de La Haye. Recueil des Cours de l'Académie de droit international. Leiden: Nijhoff. (in French)
8. Mathen, C., 2003. Dissent and Judicial Authority in Charter Cases. UNBLJ. (in English)
9. Mavcic, A.M., 2010. The importance of different and concurring opinions (independent opinions) for the development of constitutional and judicial supervision on the example of Slovenian judicial practice. Review of Constitutional Law, 4. (in Georgian)
10. Scalia, A., 1998. Dissents, OAH Magazine of History, 13 (1). (in English)
11. Šimáčková, K., 2019. Dissenting Opinions in Constitutional Courts: A Means of Protection Judicial Independent and Legitimising Decisions. The European Court of Justice, OUP. (in English)
12. Thoader, T., 2010. The importance of different and concurring opinions for Romanian constitutional justice. Review of Constitutional Law, 4. (in Georgian)
13. Tokushev, D., 2010. Different and consistent opinions in the practice of the Constitutional Court of Bulgaria. Review of Constitutional Law, 4. (in Georgian)
14. Vitale, J. D., 2014.. The Value of Dissent in Constitutional Education: A Context-Specific Analysis. Review of Constitutional Studies, 4. (in English)
15. Zoidze, B., 2007. Constitutional control and order of values in Georgia. German Technical Cooperation Society GIZ. (in Georgian)

Normative Materials:

1. Organic Law of Georgia „On the Constitutional Court of Georgia“. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32944%23!publication=32> [Accessed 05.10.2025]. (in Georgian)
2. Organic Law of Georgia „Election Code of Georgia“ (6723-რს). [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1#DOCUMENT:1> [Accessed: 05.10.2025]. (in Georgian)
3. Organic Law of Georgia „Election Code of Georgia“ (4158-XIV0ს-X03). [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6151142?publication=0#DOCUMENT:1;>> [Accessed: 05.10.2025]. (in Georgian)

Judicial Practice:

1. The decision of the Constitutional Court of Georgia of April 30, 2003 (case №1/3/161). (in Georgian)
2. The dissent opinion of Jacob Putkaradze, a member of the Constitutional Court (case №1/3/161). (in Georgian)
3. The decision of the Constitutional Court of Georgia of November 5, 2013 (case №3/1/531). (in Georgian)
4. The recording Notice of the Constitutional Court of Georgia dated June 26, 2015 (case №625,640). (in Georgian)
5. The dissent opinion of Ketevan Eremadze, a member of the Constitutional Court (case №625,640). (in Georgian)
6. The decision of the Constitutional Court of Georgia of April 14, 2016 (case №1/1/625,640). (in Georgian)
7. The decision of the Constitutional Court

- of Georgia of September 25, 2020 (case №3/3/1526). (in Georgian)
8. The decision of the Constitutional Court of Georgia dated October 20, 2021 (case №3/2/1647). (in Georgian)
 9. The dissent opinion of Eva Gotsiridze, a member of the Constitutional Court (case №3/3/1526). (in Georgian)
 10. The dissent opinion of members of the Constitutional Court Irine Imerlishvili and Teimuraz Tughushi (case №3/3/1526). (in Georgian)
 11. The dissent opinion of Eva Gotsiridze, a member of the Constitutional Court (case №3/2/1647). (in Georgian)
 12. The dissent opinion of members of the Constitutional Court Irine Imerlishvili and Teimuraz Tughushi (case №3/2/1647). (in Georgian)
 13. The dissent opinion of Giorgi Kverenchkhiladze, a member of the Constitutional Court (case №3/2/1647). (in Georgian)
 14. The conclusion of the Constitutional Court of Georgia dated October 16, 2023 (case №3/1/1797). (in Georgian)
 15. The decision of the Constitutional Court of Georgia of June 7, 2024 (case №3/2/1400). (in Georgian)
 16. The dissent opinion of members of the Constitutional Court Irine Imerlishvili, Giorgi Kverenchkhiladze and Teimuraz Tughushi (case №3/1/1797). (in Georgian)
 17. The decision of the Constitutional Court of Georgia of November 29, 2024 (case №3/7/1848,1849). (in Georgian)
 18. The dissent opinion of Teimuraz Tughushi, a member of the Constitutional Court (case №3/7/1848, 1849). (in Georgian)
 19. The decision of the Constitutional Court of Georgia of November 29, 2024 (case №3/6/642). (in Georgian)
 20. Concurring Opinion of the member of the Constitutional Court, Maya Kopaleishvili (case №3/6/642). (in Georgian)
 21. Concurring Opinion of Giorgi Kverenchkhiladze and Lali Fafashvili, a member of the Constitutional Court (case №3/6/642). (in Georgian)
- Internet Resources:**
1. Gotsiridze, E., 2023. „Because of dissent” – presidential impeachment case. [Online] available at: <https://constcourt.ge/pdf/657045314a258.pdf/eva%20gotsiridze.pdf> [Accessed 05.10.2025]. (in Georgian)
 2. Statement on cancellation of mandatory gender quota. [Online] available at: <https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdX7EnsWrthQybF2-xAlhnW5A1hJnNhqvlp--Jg-ETWEYWlaA/viewform> [Accessed 05.10.2025]. (in Georgian)